

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

დოკუმენტაცია

ფერადი განათების სანათების მარეგულირებელი კვების ბლოკების

(CPV31111000 - ადაპტერები)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი
2015 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დავალება
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. დანართი N1 სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი
5. დანართი N2 რეკვიზიტები

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1 იხ., „სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა სახელმძღვანელო“ და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერზე www.procurement.gov.ge
- 1.2 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები დავით კოპალიანი 577 33 30 30. გიგა მენაბდიშვილი 577 92 57 57.
- 1.3 სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურა:
„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „კ“ ქვეპუნქტის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებაამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის - „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოითხოვოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.

2. ტექნიკური დავალება

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლებია:

#	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	საზომი ერთეული	რაოდენობა
1	ფერადი განათების სანათების მარეგულირებელი კვების ბლოკი	<p>შემავალი ძაბვა: 100-240 V AC, 50/60 Hz მაქსიმალური ენერგომომხმარება: 240 W შუქდიოდების გამომავალი არხების რაოდენობა: 4 მაქსიმალური გამომავალი დენი: 350 mA თითოეულ ფერზე მაქსიმალური დატვირთვა თითოეულ არხზე: 36 x 1 W LED 's - RGB რეჟიმში; 42 x 1 W LED 's RGBW რეჟიმში.</p> <p>მთლიანი დატვირთვა: 144 LED 's - RGB რეჟიმში; 168 LED 's - RGBW რეჟიმში.</p> <p>მართვის სისტემა: USITT DMX 512, DyNet, RS232 DMX არხები: 4, 12, 16, 19 DMX პროტოკოლის რეჟიმები: 4 მუშაობის რეჟიმი: DMX, Mast./slave, Stand-alone ჩაშენებული პროგრამების რაოდენობა: 6 მომხმარებლის მიერ რედაქტირებადი პროგრამები: 3 (up to 30 steps each) უნდა გააჩნდეს 3 ინდიკატორი DMX შესაერთებელი: RJ45 RS232 შესაერთებელი: DE-9 (male) LED გამომავალი შესაერთებელი: RJ45 სამუშაო ტემპერატურის დიაპაზონი: -10°C/+40°C</p> <p>უნდა მოყვებოდეს შესაბამისი ზომის კედელზე დასამაგრებელი დახურული ყუთი, რომელსაც ექნება მცირე ზომის ხვრელები საჰაეროსთვის რათა მოხდეს მარეგულირებელი კვების ბლოკის გაგრილება</p>	ცალი	2

შენიშვნა:

1. შესყიდვის ობიექტს უნდა გააჩნდეს გარანტია მინიმუმ 5 წელი. გარანტიის მოქმედების ვადაში საქონლის შეკეთების ან ახალი ანალოგიური პარამეტრების მქონე საქონლით შეცვლის დრო არ უნდა აღემატებოდეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეს.
2. შემთავაზებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ევროკავშირის დირექტივებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მაჩვენებლებს
3. მოწოდებულ საქონელს უნდა მოყვეს ყველა შესაბამისი აქსესუარი და დამაკავშირებელი კაბელი.
4. თუ შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლებში მითითებულია სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი იგულისხმება მისი „მსგავსი“ ან „ექვივალენტი“
5. ცხრილში მოცემულია შესყიდვის ობიექტის მინიმალური პარამეტრები და პრეტენდენტს უფლება აქვს შესთავაზოს შემსყიდველს გაუმჯობესებული/უკეთესი პარამეტრების მქონე საქონელი.

2.2 საქონლის მიწოდების ვადები და პირობები:

2.2.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.2.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი გულუას ქ #6, მე-5 სართული, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“.

2.3. დამატებითი მოთხოვნები

2.3.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

2.3.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

2.3.3 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (დღგ-ს ჩათვლით).

2.3.4 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

2.4 ანგარიშსწორების პირობები:

2.4.1 ანგარიშსწორება მოხდება, უნაღდო ანგარისწორებით ლარებში.

2.4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დარეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.4.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება

2.5. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტებია:

ა) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის მიხედვით;

ბ) რეკვიზიტები დანართი №2-ის მიხედვით;

გ) ინფორმაცია საგარანტიო ვადისა და პირობების შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის 2.1 პუნქტის გათვალისწინებით.

დ) შემოთავაზებული საქონლის ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებისა და სტანდარტების დამადასტურებელი სერტიფიკატი ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიული წესით დამოწმებული;

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

2.6. დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები.

2.7 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 4200 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ სააგენტოს თავმჯდომარის ნათია კობახიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქ. №6

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____ მისი _____ სახით, იურიდიული მისამართი _____ (შემდგომში მიმწოდებელი)

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა ფერადი განათების სანათების მარეგულირებელი კვების ბლოკების (CPV31111000 - ადაპტერები) შესყიდვაზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (განცხადების № SPA) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი _____ ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება)

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. მიწოდებული საქონლის მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №2-თან (ტექნიკური დავალება) შესაბამისობის დადგენა, მის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ „შემსყიდველის“ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, ტექნიკური დავალება და ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის მიხედვით.

4. საქონლის მიწოდების პირობები, ვადები და გარანტია

4.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი გულუას ქ #6, მე-5 სართული, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“.

4.3 შესყიდვის ობიექტის გარანტია მითითებულია ფასების ცხრილში დანართ #1, გარანტიის მოქმედების ვადაში საქონლის შეკეთების ან ახალი ანალოგიური პარამეტრების მქონე საქონლით შეცვლის დრო არ უნდა აღემატებოდეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული პირი, მიწოდებული საქონლის შესახებ მიმწოდებელთან ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს და ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს საქონელი (თანმდევრი მომსახურებით) და მოსთხოვოს მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით გამოასწოროს წუნდებული საქონლის ხარისხი.

6. ანგარიშსწორება

6.1. საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დარეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად);

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების 6.1. ფუნქტში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მომართვიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.1.6. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს, ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საჭირო საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება,

აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების

თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების და საგარანტიო პირობების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.7 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.7 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის _____ გარდა მე-4 მუხლის 4.3 პუნქტისა.

15.2 გარანტიის ვადა -----.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია _____ გვერდზე, 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ერთი - „შემსყიდველთან“

„შემსყიდველი“

სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“

ქ. თბილისი გულუას. №6

ს/კ 204911227

ნათია კობახიძე

თავმჯდომარე

„მიმწოდებელი“

სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი,

შევისების თარიღი „_“_____2015წ

„_____“
(პრეტენდენტის დასახელება)

სატენდერო წინადადების ფასი

_____ (თანხა ციფრობრივად) (თანხა სიტყვიერად)

#	საქონლის დასახელება მწარმოებელი ფირმა და მოდელი	საქონლის ტექნიკური მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8*	9
1								

შენიშვნა:

(*) სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით მიწოდების ადგილამდე დღ-ს ჩათვლით.

გამარჯვებულ პირს დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის განფასება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

(ხელმოწერა)

(ბეჭდის ადგილი)(ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)